დანართი №1

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

29.11.2022

ანგარიშის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის მომზადების პრინციპები

ანგარიში უნდა მომზადდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინება
- თითოეული რეკომენდაციის ან/და რჩევის შესრულებისთვის ეფექტური მეთოდის/ მიდგომის შერჩევა-დაგეგმვა-განხორციელება
- რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული შესაბამისი პერსონალის ჩართვა
- რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების მტკიცებულებ(ებ)ის ფორმირება
- რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების შემაჯამებელი აღწერა და ანგარიშის ფორმირება

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფსიქოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0313, ფსიქოლოგია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 1400, ქ. გორი, ჩერქეზიშვილისქუჩა, N4
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 29/03/2022, N325176
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 15 მარტი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	6 თვე, 2022 წლის 15 სექტემბრამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2029 წლის 15 მარტი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალური სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საკონტაქტო ინფორმაცია

ქვეყნის კოდი	GE/GEO
დაწესებულების მისამართი[6]	საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gu.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	contact@gu.edu.ge
ტელეფონი	0370272413; 0370272616
დაწესებულების ხელმძღვანელი[7]	რექტორი, გიორგი სოსიაშვილი
მობილური ტელეფონი	577240088
ელ-ფოსტისმისამართი	giorgisosiashvili@gmail.com
ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დასახელება[8]	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი
ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი[9]	დეკანი, მარიკა შერაზადიშვილი
მობილური ტელეფონი	577251217
ელ-ფოსტისმისამართი	marikasherazadishvili@gu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	ქეთევან ლომსაძე
მობილური ტელეფონი	599629996
ელ-ფოსტისმისამართი	ketilomsadze@gu.edu.ge
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)ი[10]	ლევან მიდოდაშვილი
მობილური ტელეფონი	577151203
ელ-ფოსტისმისამართი	levanmidodashvili@gu.edu.ge

[6]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[7]თანამდებობა/პოზიცია, სახელი, გვარი
[8]ასეთის არსებობის შემთხვევაში
[9]თანამდებობა/პოზიცია, სახელი, გვარი
[10]თანამდებობა/პოზიცია სახელი, გვარი

შესასრულებელი რეკომენდაცი (ებ)ი[11]

2.2. სტანდარტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია ცალკეული კურსების ფარგლებში სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაზე დაშვების არსებულ წინაპირობებთან;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია;

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

- სილაბუსებში გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;

4.1 სტანდარტთან მიმართებაში

- გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები:

2.2 **სტანდარტთან მიმართებაში**

- სასურველია კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სავალდებულო სასწავლო კურსში გადატანა;

2.5. **სტანდარტთან მიმართებაში**

- სასურველია, რომ სილაბუსებში მხოლოდ ის მეთოდები იყოს მითითებული, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლების დროს;

5.3 **სტანდარტთან მიმართებაში**

- სასურველია უფრო დეტალური გარე კოლეგიალური შეფასების მიღება საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან და დარგის სპეციალისტებისგან.უმაღლესი სასწავლებლებიდან და დარგის სპეციალისტებისგან.

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა, ჩართული პირების/სამუშაო ჯგუფის მითითებით

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წლის 29 მარტს. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარდგენისთვის განსაზღვრულ იქნა 6 თვიანი ვადა 2022 წლის 15 სექტემბრამდე. დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარადგინა ანგარიში, სადაც აღწერილია 4 რეკომენდაციაზე ჩატარებული საქმიანობა.
დაწესებულებამ ექვსი თვის განმავლობაში სრულად შეასრულა 2 რეკომენდაცია: (რეკომენდაციები #2 და #3) და ნაწილობრივ შესრულდა 2 რეკომენდაცია (რეკომენდაციები #1 და #4).

რჩევების შესრულების მიმოხილვა, ჩართული პირების/სამუშაო ჯგუფის მითითებით

დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარადგინა 3 რჩევაზე ჩატარებული საქმიანობა. სრულად გათვალისწინებულ იქნა რჩევა #2 და არ იქნა გათვალისწინებული რჩევები #1 და #3.

დამატებითი ინფორმაცია[12]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[13]

სტანდარტის დასახელება[14]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[15]	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I[16]	მიზანშეწონილია ცალკეული კურსების ფარგლებში სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაზე დაშვების არსებულ წინაპირობებთან;
აღწერა	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია**. იმ სასწავლო კურსებისთვის („კოგნიტური ფსიქოლოგია“, „სოციალური ფსიქოლოგიური გავლენა“ და „კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია“), რომელთათვის ინგლისურ ენაზე იყო შეთავაზებული ლიტერატურა, კურსზე დაშვების წინაპირობებს დაემატა სასწავლო კურსი: „დარგობრივი ინგლისური“. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რეკომენდებული იყო ლიტერატურა შესაბამისობაში

[12]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[13]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[14]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[15]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მოსულიყო ***არსებულ*** დაშვების წინაპირობებთან, რაც გულისხმობდა ქართულ ენაზე რიდერების მომზადებას, რაც არ შესრულდა.
რეკომენდაცია 2	მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია;
აღწერა	**რეკომენდაცია შესრულებულია**. სასწავლო კურსი:"ფსიქოთერაპიის საფუძვლები" გადატანილია მერვე სემესტრიდან მეექვსე სემესტრში; „კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია- მეექვსე სემესტრიდან-მერვე სემესტრში და „კოგნიტური ფსიქოლოგია" მეოთხე სემესტრიდან გადატანილ იქნა მეშვიდე სემესტრში. ხოლო ეკონომიკური ფსიქოლოგია"/"საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიური სამსახური") გადავიდა მე-7-ე სემესტრიდან მე-4-ე სემესტრში.
რჩევა[17]I	სასურველია კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სავალდებულო სასწავლო კურსში გადატანა;
აღწერა	**რჩევა არ შესრულებულა.** სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, მისი შესრულება გადაიდო სამომავლოდ
მტკიცებულებ(ები)ა	- დანართი 2. სილაბუსები სასწავლო კურსებისათვის: „სოციალურ ფსიქოლოგიური გავლენა", „კოგნიტური ფსიქოლოგია", „კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია"; - დანართი 3. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N6-36 დადგენილება ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე; - დანართი 4. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; - დანართი 5. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების რუკა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია 3	სილაბუსებში გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

აღწერა	**რეკომენდაცია შესრულებულია**. პროგრამის სასწავლო კურსების („წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, „კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია“, „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „სოციალურ ფსიქოლოგიური გავლენა“) სილაბუსებში მოხდა შეფასების კრიტერიუმებისა და შეფასების რუბრიკების კორექტირება. თუმცა, ზოგ სასწავლო კურსში გამოტოვებულია რამდენიმე შეფასება. მაგალითად, „წერითი და ზეპირი კომუნიკაციების“ სასწავლო კურსში საგამოცდო კითხვა ფასდება 5 ქულით. შეფასების კრიტერიუმებში კი განმარტებულია 3 ქულის ჩათვლით. აკლია 4 და 5 ქულის შეფასებების განმარტება. სავარაუდოდ, ეს ტექნიკური ხარვეზია.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 6. სილაბუსები სასწავლო კურსებისათვის: „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, „სოციალურ ფსიქოლოგიური გავლენა“, „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია“.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია 4	გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
აღწერა	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია**. აფილირებული ასოცირებული პერსონალის გაზრდის მიზნით, ასოცირებულ პროფესორის თანამდებობაზე მიიღეს ერთი ლექტორი. სავარაუდოდ, ამ რეკომენდაციის სრულად შესრულება მოითხოვს მეტ დროს.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი 7. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N6-50 დადგენილება აკადემიური პერსონალის არჩევის თაობაზე.

რჩევები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები სასურველია, რომ სილაბუსებში მხოლოდ ის მეთოდები იყოს მითითებული, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლების

	დროს;
რჩევა[18]II	**რჩევა გათვალისწინებულ იქნა.** პროგრამის ხელმძღვანელებს დაევალათ, ჩასწორებები გაეკეთებინათ სილაბუსებში.
აღწერა	
მტკიცებულებ(ები)ა	

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რჩევა[19]III	სასურველია უფრო დეტალური გარე კოლეგიალური შეფასების მიღება საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან და დარგის სპეციალისტებისგან.
აღწერა	**რჩევა არ იქნა გათვალისწინებული** ამ ეტაპზე. მისი განხორციელება გადაიდო სამომავლოდ.
მტკიცებულებ(ები)ა	

ექსპერტის ხელმოწერა

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)